**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის**
**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

27/11/2026

MES 2 26 0001724212

საჯარო სამართლის იურიდიული პირი იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი №15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ შესახებ დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი“-ს საფუძველზე (დამტკიცებულია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მაისის სხდომაზე, ოქმი #16),აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის (ოქმი N 18, 26/11/2026) (ამონაწერი), ამავე უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის ლევან შავაძის სამსახურებრივი ბარათის (26/11/2026წ; N1720573) და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 27 ნოემბრის N20 ოქმის N1 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**1**.გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, მიმდინარე წლის 30 ნოემბრიდან სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრ არულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე შემდეგი მიმართულებებით:

1.1 **აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი**

- **ბიოლოგიის მიმართულება**

პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით (აფილირებული)

ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით (აფილირებული)

- **ეკოლოგია მიმართულება**

ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით (აფილირებული)

**2**.კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება განხორციელდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული (ოქმი N15) „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების“ მიხედვით;
**3**.კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2026 წლის 31 დეკემბერს 10:00 საათზე და დასრულდეს 2027 წლის 13 იანვარს 17:00 საათზე;
**4**.საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე, №214 ოთახში, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე,
**5**. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2027 წლის 25 იანვარი ;
**6**.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის უფროსს (ქ. ხმალაძე);
**7**.დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ს.რამაზაშვილს) განცხადების გაზეთში გამოქვეყნება;
**8**.დაევალოს ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის უფროსს (თ. ასლანიშვილს) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
**9**.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
**10**. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს;
**11**. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
**12**.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა



